



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA

TUBERCULOSIS
PREVENTION
PROJECT



ტუბერკულოზის პრევენცია მაღალი რისკის

ჯგუფებში

და პაციენტის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა

სასწავლო კურსი ზიანის შემცირების საქართველოს

ქსელისთვის



თემა:

*ძირითადი ინფორმაცია
ტუბერკულოზის*


და მისი პრევენციის შესახებ -

*რატომ არის ნარკოტიკების ინექციური
მომხმარებელი ტუბერკულოზით
დაავადების მაღალი რისკის ქვეშ*

საქართველოს და მსოფლიოს ტუბერკულოზი კვლავ პრობლემაა

ყოველწლიურად საქართველოში 5500-დან 6000-მდე აქტიური ტუბერკულოზით დაავადებული რეგისტრირდება

TB შემთხვევათა რეგისტრაცია 100 000 მოსახლეზე საქართველოში



მსოფლიოს კვლავ პრობლემას წარმოადგენს:

- ✓ აივ/შიდსის და ტუბერკულოზის კო-ინფექცია;
- ✓ რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა;

ტუბერკულოზი ინფექციური ანუ გადამდები დაავადებაა

ტუბერკულოზი ადამიანიდან ადამიანზე უპირატესად ჰაერ-წვეთოვანი გზით ვრცელდება

ფილტვის მგბ(+) ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი

- ✓ ხველის ;
- ✓ ცემინების;
- ✓ ლაპარაკის;
- ✓ სიცილის;
- ✓ სიმღერის დროს




გარემოში გამოჰყოფს ტუბერკულოზის გამომწვევ მიკობაქტერიას

ტუბერკულოზი გადამდები დაავადებაა

ადამიანი, რომელიც შეისუნთქავს ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებული პაციენტის მიერ გამოდევნილ ჰაერს, შესაძლოა

- ✓ ინფიცირდეს
- ✓ ან დაავადდეს ტუბერკულოზით

მგზ (-) პაციენტი გადამდები არ არის



TB უპირატესად ჰაერ-წვეთოვანი გზით გადამდები დაავადებაა

- ✓ ქურჭლით - საერთო თევზის ან ჭიქის გამოყენებით;
- ✓ კოცნით;
- ✓ ხელის ჩამორთმევით;
- ✓ თეთრეულით;
- ✓ ან სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებით

ტუბერკულოზი არ გადადის

ტუბერკულოზით ინფიცირების და დაავადების რისკი

TB ინფიცირების და დაავადების რისკი დამოკიდებულია იმაზე თუ სად და ვინ სუნთქავს ტუბერკულოზის გამომწვევით გაჯერებულ ჰაერს

რისკი განსაკუთრებით მაღალია:

- ✓ დახშულ, არავენტილირებულ, მზის სხივებით და სუფთა ჟანგბადით ცუდად უზრუნველყოფილ გარემოში;
- ✓ ადამიანებისათვის, რომლებიც ტუბერკულოზის რისკ-ჯგუფს მიეკუთვნებიან;

TB ინფიცირების და დაავადების რისკ-ჯგუფები

- ✓ მგბ (+) პაციენტთან კონტაქტში მყოფი პირები;
- ✓ აივ/შიდსით დაავადებულები;
- ✓ ნარკოტიკების და ალკოჰოლის მომხმარებლები;
- ✓ თამბაქოს მომხმარებლები;
- ✓ შაქრიანი დიაბეტით, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებული პაციენტები;
- ✓ სხივურ თერაპიაზე, ხანგრძლივ სტეროიდულ ან ციტოსტატიურ მკურნალობაზე მყოფი პაციენტები;
- ✓ ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტები;
- ✓ წარსულში ტუბერკულოზით დაავადებული პირები;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირები;
- ✓ სოციალურად დაუცველი პირები - იძულებით გადაადგილებული დაკომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მცხოვრები პირები, უსახლკაროები, მიგრანტები

ტუბერკულოზით ინფიცირების და დაავადების რისკი

- ✓ TB იმუნიტეტთან ასოცირებული დაავადებაა;
- ✓ TB ინფიცირების და დაავადების რისკი მით უფრო მაღალია, რაც უფრო დაქვეითებულია ადამიანის იმუნიტეტი;
- ✓ ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების, განსაკუთრებით კი ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლის იმუნიტეტი დასუსტებულია, მას არ შეუძლია შეებრძოლოს ორგანიზმში მოხვედრილ TB გამომწვევს, ამიტომ ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებელში TB ინფიცირების და დაავადების რისკი მაღალია;

ტუბერკულოზით ინფიცირების და დაავადების რისკი

ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელთან TB ინფიცირების და დაავადების რისკი კიდევ უფრო იზრდება, თუ ნარკომანიასთან ერთად ის

- აივ ინფიცირებული ან შიდსით დაავადებულია;
- ალკოჰოლის მომხმარებელია;
- არ იღებს საკმარის საკვებს;
- მუდმივად ან პერიოდულად აქვს არადაამაკმაყოფილებელი საცხოვრებელი პირობები;

ტუბერკულოზის პრევენცია

- ✓ მოწყვლად ჯგუფებში ტუბერკულოზის პრევენციის ყველაზე ეფექტური გზა რისკ-ფაქტორებისაგან თავის არიდებაა;
- ✓ ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი შეძლებისდაგვარად უნდა მოერიდოს ტუბერკულოზის გადამდები ფორმით დაავადებულ პაციენტთან კონტაქტს;
- ✓ თუ ნარკოტიკების ინექციური მომხმარებელი შეძლებს უარი თქვას ნარკოტიკებზე და ალკოჰოლზე, მასთან ტუბერკულოზის განვითარების რისკი შემცირდება;
- ✓ ამაში მას სწორი ინფორმირება და კვალიფიციური კონსულტირება დაეხმარება;

ტუბერკულოზის პრევენცია


- ✓ თემში ტუბერკულოზის გავრცელების პრევენციის ყველაზე მარტივი ხერხი დახურული სივრცის ხშირი და სწორი მიმართულებით განიავება;
- ✓ თუ ნარკოტიკების ინტრავენურ მომხმარებელს უწევს ისეთ დახურულ სივრცეში ყოფნა, რომლის ჰაერიც ტუბერკულოზის გამომწვევითაა დაბინძურებული, მან რამდენადაც შესაძლებელია ხშირად უნდა გაანიავოს ოთახი;
- ✓ განიავებისას ოთახში ჰაერი ღია სივრცისაკენ უნდა მოძრაობდეს და არა პირიქით;

პროგრამულად TB პრევენცია დაბადებისთანავე ყველა ჩვილის (აივ ინფიცირებულთა გარდა) რუტინულ ვაქცინაციას (BCG-ირებას) გულისხმობს.

ტუბერკულოზით ინფიცირება და დაავადება

- ✓ TB გამომწვევის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ 1/3 ინფიცირდება ტუბერკულოზით ანუ ვითარდება LTBI;
- ✓ ინფიცირებულთა 10%-ში სიცოცხლის მანძილზე ვითარდება აქტიური TB;
- ✓ LTBI-დან აქტიური TB-ის განვითარებას ნებისმიერმა TB რისკ-ფაქტორმა, მათ შორის ნარკოტიკების მოხმარებამ შეიძლება შეუწყოს ხელი;
- ✓ ნარკოტიკების მომხმარებელი შესაძლოა წარსულში, სარისკო ქცევამდე იყოს ტუბერკულოზით ინფიცირებული და მასთან უკვე შემდგომ, ნარკოტიკების თანაგ მოხმარის LTBI-ის ანთაგ ანთარი

ტუბერკულოზით ინფიცირება და დაავადება



ტუბერკულოზით ინფიცირება და დაავადება

LTBI

ნარკოტიკების
მოხმარება

TB

ან

ნარკოტიკების
მოხმარება

LTBI

TB

მსგავსება და განსხვავება TB ინფიცირებას და დაავადებას შორის

LTBI	TB
TB გამომწვევი ორგანიზმში არის მთვლემარე ფორმაში	TB გამომწვევი ორგანიზმში არის აქტიურ ფორმაში
ორგანიზმი დაავადებული არ არის	ორგანიზმი დაავადებულია
ტუბერკულოზით ინფიცირებული არ არის გადამდები	ტუბერკულოზით დაავადებული გადამდებია თუ მგბ(+)-ია
TB სიმპტომები არ ვლინდება, ადამიანს ჩივილები არ აქვს	TB სიმპტომები ვლინდება, პაციენტს ჩივილები აქვს
მანტუს სინჯი დადებითია; ნახველში მგბ არ არის; რენტგენზე ცვლილება არ არის	მანტუს სინჯი დადებითია; ნახველში მგბ უმეტესად არის, ზოგჯერ არ არის; რენტგენზე ცვლილება არის
მკურნალობას საჭიროებს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, მაგ. აივ კო-ინფიცირების დროს	მკურნალობას ყველა შემთხვევაში საჭიროებს

ტუბერკულოზი ყველა ორგანოს დაავადებაა


ადამიანი ნებისმიერი ორგანოს ტუბერკულოზით შეიძლება დაავადდეს

ყველაზე ხშირი ფილტვის ტუბერკულოზით ავადობაა,

თუმცა ასევე შეიძლება გან:

- ✓ შარდ-სასქესო;
- ✓ ძვლის და სახსრების;
- ✓ ცენტრალური ნერვული სისტემის;
- ✓ პლევრის;
- ✓ ლიმფური კვანძების;
- ✓ ან ნებისმიერი სხვა

ორგანოს, ტუბერკულოზით



ტუბერკულოზის მკურნალობა საქართველოში უფასოა

- ✓ საქართველოს მასშტაბით TB მკურნალობა უფასოა როგორც სტაციონარულ ისე ამბულატორიულ რეჟიმში;
- ✓ ყველა რეგიონში არის ტუბკაბინეტი, სადაც TB საექვო შემთხვევის დიაგნოსტიკა და TB პაციენტზე მეთვალყურეობა და მკურნალობა უფასოა;
- ✓ ნარკოტიკების მომხმარებლებთან თემში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ტუბდაწესებულებებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვნად შეამცირებს TB -ით გამოწვეულ ზიანს, ისევე როგორც ეს ხდება აივ/შიდსის, ჰეპატიტების და სგგდ-ის შემთხვევაში;

ტუბდაწესებულებების მისამართები იხილეთ დანართის სახით

სწორად ნამკურნალები ტუბერკულოზი განკურნებადია

- ✓ TB განკურნებადია, თუ პაციენტი უწყვეტად, ექიმის დანიშნულების მიხედვით ჩაიტარებს მკურნალობას;
- ✓ არანამკურნალები ან ცუდად ნამკურნალები TB ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს უქმნის პაციენტს და დიდხანს გადამდები რჩება კონტაქტში მყოფი პირებისათვის;
- ✓ ურეჟიმო, წყვეტილი მკურნალობის შედეგად ვითარდება რეზისტენტული ტუბერკულოზი;
- ✓ რეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა ბევრად უფრო ხანგრძლივი და რთულია, ვიდრე არარეზისტენტულის;

არანამკურნალები ან ცუდად ნამკურნალები TB

შესაძლებელია პაციენტის სიცოცხლის მიწიერი საფრთხის

შემთხვევა განხილვისა და დისკუსიისთვის (1)

10 წელზე მეტია ნარკოტიკების მომხმარებელი ვარ, რამოდენიმეჯერ ვცადე თავის დანებება, მაგრამ ვერაფრით შევძელი. მაქსიმალურად ვცდილობ ის მაინც მოვახერხო, რომ ნარკომანიის გამო სხვა დაავადებებით არ დავავადდე. ვიცი როგორ დავიცვა თავი აივ ინფიცირებისაგან, ჰეპატიტებისა და სქესობრივი გზით გადამცემი დაავადებებისაგან და ჯერჯერობით გამომდის კიდეც. მაგრამ აი ტუბერკულოზზე ბევრი არაფერი ვიცი, არადა ჩემს მეზობლად ოჯახი ცხოვრობს, სადაც მამა-შვილი ტუბერკულოზით დაავადებულია. პერიოდულად ხან ერთი მკურნალობს საავადმყოფოში და ხან მეორე. არ ვიცი რამდენად საშიშია ჩემთვის ტუბერკულოზი და თუ საშიშია, არ ვიცი რა უნდა გავაკეთო თავის დასაცავად.



როგორი იქნება თქვენი რჩევები?



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE

TUBERCULOSIS
PREVENTION
PROJECT

თემა:

*ტუბერკულოზზე საექვო პირების
გამოვლენა სიმპტომების მიხედვით*

ტუბერკულოზის სიმპტომები

ფილტვის ტუბერკულოზზე საექვო ნიშნებია 2 კვირაზე მეტად გახანგრძლივებული:

1. პროდუქტიული ან არაპროდუქტიული ხველა;
2. სისხლიანი ხველა;
3. ტკივილი გულმკერდის არეში;
4. სუნთქვის გაძნელება;
5. ტემპერატურული რეაქცია;
6. საერთო სისუსტე;
7. უმადობა და წონაში კლება;
8. ოფლიანობა ძილის დროს;

სხვა ორგანოების ტუბერკულოზს პირველი 4 ნიშნის ნაცვლად შესაბამისი ორგანოს ანთებითი პროცესისათვის დამახასიათებელი სიმპტომები ახასიათებს, ხოლო ბოლო 4 ნიშანი ყველა ორგანოს ტუბერკულოზისათვის საერთოა

ტუბერკულოზის სიმპტომები

მაგალითად შარდ-სასქესო ორგანოების ტუბერკულოზზე
საექვო ნიშნებია 2 კვირაზე მეტად გახანგრძლივებული:

1. ხშირი შარდვა;
2. წვა შარდვის დროს;
3. შარდვით დაუკმაყოფილებლობა;
4. ჰემატურია;
5. ტემპერატურული რეაქცია;
6. საერთო სისუსტე;
7. უმადობა და წონაში კლება;
8. ოფლიანობა ძილის დროს;

არ არის აუცილებელი ადამიანს ყველა სიმპტომი ჰქონდეს,
შესაძლოა გამოვლინდეს 1 ან 2 საექვო ნიშანი


ტუბერკულოზის დროული გამოვლენა

- ✓ ვინაიდან ნარკოტიკული საშუალებების მომხმარება TB მაღალ რისკს წარმოადგენს, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთან TB საექვო ნიშნების დაფიქსირება მყარ ექვს ქმნის ტუბერკულოზით ავადობაზე;
- ✓ თუ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთან დაფიქსირდა 2 კვირაზე მეტად გახანგრძლივებული TB საექვო ერთი ან რამდენიმე ნიშანი, მან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უახლეს ტუბკაბინეტს დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს;

ტუბერკულოზის დროული გამოვლენა

- ✓ ნარკოტიკული საშუალებების ყველა იმ მომხმარებელთან, რომელსაც გამოუვლინდა 2 კვირაზე მეტად გახანგრძლივებული TB საექვო ერთი ან რამდენიმე ნიშანი, აქტიური ტუბერკულოზი გარდაუვლად არ დადასტურდება;
- ✓ დაავადებულია თუ არა TB საექვო ნიშნების მქონე ნარკოტიკების მომხმარებელი აქტიური ტუბერკულოზით, ამ დასკვნას ექიმი ფთიზიატრი შესაბამისი კვლევების საფუძველზე გააკეთებს;
- ✓ დიაგნოსტიკისათვის პაციენტს მინიმუმ პათოლოგიური მასალის ბაქტერიოსკოპია და რენტგენოლოგიური კვლევა ჩაუტარდება;
- ✓ TB საექვო პაციენტისთვის ეს გამოკვლევები უფასოა.

ტუბერკულოზის დროული გამოვლენა



შემთხვევა განხილვისა და დისკუსიისთვის (2)

ნარკოტიკული საშუალებების ინტრავენური მომხმარებლის კონსულტირებისას ნკტ კონსულტანტმა დააფიქსირა, რომ ბენეფიციარმა რამოდენიმეჯერ დაახველა. კონსულტანტმა ჰკითხა მას **რამდენი ხანია ახველებს, ხომ არ შეუმჩნევია ნახველში სისხლი, აქვს თუ არა გულმკერდში ტკივილი შეგრძნება, უჭირს თუ არა სუნთქვა, ხომ არა აქვს სიცხე, ძილის დროს ხომ არ იფლიანობს, ბოლო პერიოდში ხომ არ უჩივის ადვილად დაღლას, ან უმადობას და წონაში დაკლებას.** ამ შეკითხვებზე ბენეფიციარმა უპასუხა, რომ დაახლოებით ერთი თვე იქნება რაც ცოტას ახველებს, ხანდახან გრძნობს რომ სიცხე აქვს და ძილის დროს ადრინდელ პერიოდზე მეტად იფლიანობს. როგორ უნდა მოიქცეს ნკტ კონსულტანტი?





თემა:

*TB სიმპტომების მქონე ნარკოტიკების
ინექციური მომხამარებლების
ტუბდაწესებულებაში დროული
მიმართვით მიღებული სარგებელი -
რატომ არის მნიშვნელოვანი
პაციენტისთვის და მასთან კონტაქტში
მყოფი პირებისათვის ტუბერკულოზის
ადრეულ სტადიაზე გამოვლენა*

ტუბდაწესებულებაში დროული მიმართვა

TB საექვო ნიშნების მქონე ნარკოტიკების მომხმარებლის ტუბდაწესებულებაში დაუყოვნებელი მიმართვა აუცილებელია:

- ✓ დროული დიაგნოსტიკისათვის;
- ✓ TB დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში TB მკურნალობის დროულად დაწყებისათვის;
- ✓ TB პაციენტის წარმატებით განკურნებისათვის;
- ✓ მასთან კონტაქტში მყოფი პირების TB -სგან დაცვისათვის;

რაც უფრო დროულია მიმართვა მით უფრო მეტია
TB-ის განკურნების შანსი

ტუბდაწესებულებაში დროული მიმართვა

- ✓ სანამ ადამიანი არ დაიწყებს TB მკურნალობას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება;
- ✓ თუ პაციენტი მგბ(+)-ია ის მკურნალობის დაწყებამდე გადამდები რჩება კონტაქტში მყოფი პირებისათვის;
- ✓ მგბ(+) პირმა მკურნალობა სტაციონარულ რეჟიმში უნდა დაიწყოს;
- ✓ წლის განმავლობაში 1 მგბ(+) პაციენტი 10-მდე კონტაქტში მყოფ პირს აავადებს ტუბერკულოზით;
- ✓ ეს რისკი განსაკუთრებით მაღალია, თუ კონტაქტში მყოფი პირები თავადაც TB რისკ-ჯგუფებს მიეკუთვნებიან;

TB პაციენტი მხოლოდ ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატებით მკურნალობის შედეგად იგრძნობს თავს კარგად და გახდება
მგბ (-)

ტუბდაწესებულებაში დროული მიმართვა

- ✓ ტუბდაწესებულების გვერდის ავლით სხვა სამედიცინო დაწესებულებაში ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა შესაძლოა არასტანდარტულად წარიმართოს;
- ✓ თვითმკურნალობის პირობებში TB პრეპარატების გამძლეობის მიხედვით სწორად შერჩევა, ადექვატური დოზის განსაზღვრა და მკურნალობის ხანგრძლივობის დაცვა ფაქტიურად შეუძლებელია;
- ✓ მხოლოდ ტუბდაწესებულებაშია შესაძლებელი პაციენტის განკურნებისთვის აუცილებელი უშუალო მეთვალყურეობით მკურნალობა (DOTS/DOTS+) და უფასო, სწორად შერჩეული პრეპარატებით უწყვეტი უზრუნველყოფა;

ტუბდაწესებულებაში მკურნალობის დამატებითი სარგებელი

ტუბდაწესებულებაში:

- ✓ მკურნალობა კონფიდენციალურია და მიმდინარეობს მედპერსონალის უშუალო მეთვალყურეობით (DOT);
- ✓ მკურნალობისადმი კარგი დამყოლობის მქონე პაციენტს ეძლევა წამახალისებლები
 - სატრანსპორტო და
 - კვებითი ვაუჩერის სახით;
- ✓ ზოგიერთ მათგანში უზრუნვეყოფილია TB პაციენტთა ფსიქოლოგიური დახმარება, თუმცა სპეციფიური, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა ფსიქოლოგიური დახმარება პროგრამულად გათვალისწინებული არ არის;

შემთხვევა განხილვისა და დისკუსიისთვის (3)

GHRN-ის სამეგრელოს კოორდინატორმა იცის, რომ მისი ერთ-ერთი ბენეფიციარი ადრე ტუბერკულოზით იყო ავად და მკურნალობდა. ბოლო პერიოდში ატყობს რომ ბენეფიციარმა წონაში ძალიან დაიკლო და შეხვედრების დროს ხშირად ახველებს. ის ძალიან კომუნიკაბელური ადამიანია, ლიდერობს და დიდ დროს ატარებს სხვა ბენეფიციარებთან. კოორდინატორმა თხოვა აუთრიჩ/სოციალურ მუშაკს, რომ დალაპარაკებოდა ბენეფიციარს და ერჩია მისთვის ექიმთან მისვლა, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ მან თავადაც მშვენივრად იცის რაც ჭირს, ბევრჯერ დაუღევი ტუბსაწინააღმდეგო პრეპარატები, ზეპირად იცის მათი დოზები და როცა თავს ცუდად გრძნობს უპრობლემოდ იღებს მათ. როგორი უნდა იყოს კოორდინატორის შემდგომი ტაქტიკა?






თემა:

*სამი პრობლემა ერთდროულად -
როგორ უნდა მოვიქცეთ თუ
ნარკოტიკული საშუალებების
მომხმარებელი ერთდროულად აივ
ინფიცირებული და ტუბერკულოზით
დაავადებულია*

სამი პრობლემა ერთდროულად

- ✓ ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარება;
- ✓ აივ ინფიცირება;
- ✓ ტუბერკულოზი ;

ერთმანეთთან ასოცირებული
მდგომარეობებია!



სამი პრობლემა ერთდროულად

- ✓ აივ ინფიცირებულ პირებში აქტიური ტუბერკულოზის განვითარების ალბათობა 21 – 34 -ით მეტია ვიდრე აივ ნეგატიურებში;
- ✓ TB კვლავ რჩება აივ ინფიცირებულთა სიკვდილიანობის უპირველეს მიზეზად, გარდაცვლილ აივ ინფიცირებულთა მეოთხედში ლეტალობის გამომწვევი

TB/HIV 2011	Georgia, Country profile, WHO	Number	(%)
TB patients with known HIV status		2 550	(46)
HIV-positive TB patients		50	(2)
HIV-positive TB patients on co-trimoxazole preventive therapy (CPT)		28	(56)
HIV-positive TB patients on antiretroviral therapy (ART)		38	(76)
HIV-positive people screened for TB		387	
HIV-positive people provided with IPT		61	

2008 წლის აპრილიდან 2011 წლის მარტამდე საქართველოში:

- ✓ TB-ის დიაგნოზი დაესვა 285 [57.2% (498 TB საექვოდან)] IDU-ს;
- ✓ რომელთაგანაც 189 (66.3%) IDU-ს ჰქონდა ფილტვის და 96-ს (33.7%) ფილტვგარეშე TB.

სამი პრობლემა ერთდროულად

ერთის მხრივ ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარება

- ✓ სისხლთან დაკავშირებული მანიპულაციაა და წარმოადგენს აივ ინფიცირების სერიოზულ რისკს;
- ✓ ასუსტებს ორგანიზმის იმუნიტეტს და ქმნის TB-ით ინფიცირების ან დაავადების რისკს;

მეორეს მხრივ აივ ინფიცირება განაპირობებს იმუნიტეტის დასუსტებას და თავის მხრივ ქმნის TB-ით ინფიცირების და დაავადების სერიოზულ რისკს;

სამი პრობლემა ერთდროულად

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და აივ
ინფიცირება ცალ-ცალკე და ერთად აღებული
წარმოადგენს ტუბერკულოზის განვითარების
რისკს

ნარკოტიკული საშუალებების ინექციური
მომხმარებელი შეიძლება დაავადდეს
ტუბერკულოზით, მაგრამ თუ ნარკოტიკების
მოხმარების გამო პირი აივითაც ინფიცირებულია,
მისი ტუბერკულოზით დაავადების ალბათობა
გაცილებით მაღალია

HIV და LTBI

თუ აივ ინფიცირებული TB ინფიცირებულიცაა მაშინ:

- ✓ მის ორგანიზმში TB გამომწვევი მთვლემარე მდგომარეობაშია;
- ✓ ადამიანი ტუბერკულოზით დაავადებული არ არის;
- ✓ ის არც გადამდებია;

მაგრამ !!!

- ✓ აივ ინფიცირებით გამოწვეული იმუნოსუპრესიის გამო TB ინფიცირების TB დაავადებაში გადასვლის ალბათობა ძალზედ მაღალია;
- ✓ ამიტომ ყველა აივ ინფიცირებულს, რომელიც TB ინფიცირებულიცაა აქტიური ტუბერკულოზის განვითარების პრევენციის მიზნით უნდა ჩაუტარდეს იზონიაზიდით პრევენციული მკურნალობა (IPT);

HIV და LTBI



- ✓ TB ინფიცირების დიაგნოსტიკა ხდება კანის ტუბერკულოზური სინჯით (მანტუს სინჯით);
- ✓ თუ მანტუს სინჯი დადებითია, დამატებითი კვლევებით კი აქტიური TB გამოირიცხა ისმება LTBI-ის დიაგნოზი;



IDU, HIV და LTBI

- ✓ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი, რომელთანაც მანტუ დადებითია TB ინფიცირებულია, მაგრამ მას ჩვენს ქვეყანაში იზონოაზიდით პრევენციულ მკურნალობას (IPT) არ უტარებენ;
- ✓ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელს, რომელიც აივ ინფიცირებულია აუცილებლად უტარდება მანტუს სინჯი, თუ მანტუ დადებითია დასტურდება LTBI და ყველგან, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, აუცილებლად ტარდება IPT;


IDU, HIV, LTBI და IPT



IPT-ის გარეშე ყველა აივ ინფიცირებული, მათ შორის HIV/ნარკოტიკების მომხმარებელი ტუბერკულოზით დაავადების და გარდაცვალების დიდი რისკის ქვეშაა

IDU, HIV, TB და TB/ART მკურნალობა

- ✓ ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი, რომელიც აივ ინფიცირებულიცაა და აქტიური TB-თაც ავადაა აუცილებლად ერთდროულად საჭიროებს ტუბსაწინააღმდეგო და ანტირეტროვირუსულ მკურნალობას;
- ✓ კომპლექსური მკურნალობის ტოქსიურობის მიუხედავად მკურნალობის დროებითი ან სრული შეწყვეტა არ შეიძლება;
- ✓ ექიმის დახმარებით ტოქსიურობით გამოწვეული გვერდითი მოვლენების მართვა შესაძლებელია;
- ✓ TB ავადობა, ან TB პრეპარატებით მკურნალობა პაციენტის შვილოსნობის უნარზე უარყოფით ზეგავლენას არ ახდენს;
მკურნალობის გარეშე HIV და TB-ით ერთდროულად ავადობა კლავს





შემთხვევა განხილვისა და დისკუსიისთვის (4)

ნარკოტიკების მომხმარებელს ჩაუტარდა აივ ტესტი, რომლითაც დადასტურდა აივ ინფიცირება, რის გამოც პაციენტს ასევე ჩაუტარდა მანტუს სინჯი. მისი შედეგი დადებითი იყო. პაციენტი გაიგზავნა ტუბკაბინეტში, სადაც აქტიური ტუბერკულოზის გამორიცხვის მიზნით ჩაუტარდა რენტგენოგრაფია და ნახველის ანალიზი. კვლევის შედეგებით ამ ეტაპზე აქტიური TB გამოირიცხა, დაისვა LTBI-ის დიაგნოზი. ინფექციონისტის და ფთიზიატრის რეკომენდაციით პაციენტს აუცილებლად ესაჭიროება IPT, რაზეც პაციენტი უარს ამბობს.

“ვერაფერი ვერ გავიგე, ჯერ ხელზე რაღაც გამიკეთეს, მერე მითხრეს წადი ტუბკაბინეტში იქ გამოგიკვლევენო. იქაც ვიყავი, გამომიშვეს ტუბერკულოზით ავად არ ხარო, ახლა კიდევ მეუბნებიან ნ თვე ტუბერკულოზის წამალი უნდა სვავო. თუ ავად არ ვარ, წამალი რად მინდა?” - ეკითხება ნკტ კონსულტანტს პაციენტი. როგორი განმარტებებია საჭირო?



თემა:

*ტუბერკულოზით დაავადებული
ნარკომანების ფსიქო-სოციალური
დახმარება თემში -*

*როგორ დავეხმაროთ ნარკომანებს, რომ
მათ არ შეწყვიტონ ტუბსაწინაარმდეგო
მკურნალობა*

ნარკომანების ფსიქო-სოციალური დახმარება თემში

ნარკომანის ფსიქოემოციური მდგომარეობა და ცხოვრების წესი TB მკურნალობის პერიოდში საჭიროს ხდის თემში მის ყოველდღიურ სპეციფიურ, ფსიქო-სოციალურ დახმარებას და ეს ყველაზე კარგად მასთან ხშირ და ახლო კონტაქტში მყოფ კონსულტანტებს, კოორდინატორებს, აუთრიჩ/სოციალურ მუშაკებს და თავად ბენეფიციარებს შეუძლიათ



ნარკომანების ფსიქო-სოციალური დახმარება თემში

რა პრობლემები შეიძლება გაუჩნდეს ნარკოტიკების მომხმარებელს TB მკურნალობის პერიოდში? (1)

1. სანამ TB პაციენტი მგბ(+)-ია ის შეძლებისდაგვარად იზოლირებული უნდა იყოს გარშემო მყოფებისაგან; იზოლაციაში ყოფნის აუცილებლობა ამძიმებს პაციენტის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას;

რითი შეიძლება დავეხმაროთ მას?

1. პაციენტს და მის ოჯახის წევრებს მათთვის გასაგებად უნდა ავუხსნათ, რომ სრული და 24 საათიანი იზოლაცია საჭირო არ არის, საჭიროა გარკვეული წესების დაცვა

ნარკომანების ფსიქო-სოციალური დახმარება თემში

საჭიროა შემდეგი წესების დაცვა (1):

- ✓ გადამდებ პაციენტს ცალკე საძინებელში უნდა ეძინოს;
- ✓ როცა პაციენტს ახველებს და აცემინებს აუცილებლად უნდა იხმაროს ცხვირსახოცი ან ხელსახოცი, რომელსაც მოხმარებისთანავე გადააგდებს;
- ✓ კონტაქტისას პაციენტმა უნდა იხმაროს ქირურგიული ნიღაბი, რომელსაც შეძლებისდაგვარად ხშირად გამოიცვლის;

ნარკომანების ფსიქო-სოციალური დახმარება თემში

საჭიროა შემდეგი წესების დაცვა (2):

- ✓ ოთახი, სადაც არის პაციენტი კლიმატური პირობების მიხედვით შეძლებისდაგვარად მზიანი უნდა იყოს და ხშირად უნდა განიავდეს;
- ✓ განიავებისას ოთახში ჰაერი სწორი მიმართულებით, ღია სივრცისკენ უნდა მოძრაობდეს;

ამ წესების დაცვა საჭიროა მანამ, სანამ პაციენტი გადამდებია;
როგორც წესი, ადექვატური მკურნალობის ფონზე 2-4 კვირაში
პაციენტი მგბ(-) ხდება და იზოლაციას აღარ საჭიროებს

ნარკომანების ფსიქო-სოციალური დახმარება თემში

რა პრობლემები შეიძლება გაუჩნდეს ნარკოტიკების მომხმარებელს TB მკურნალობის პერიოდში? (2)

2. TB მკურნალობა ხანგრძლივია, მინიმუმ 6 თვის განმავლობაში პაციენტმა ინტენსიურ ფაზაში ყოველდღე, გაგრძელების ფაზაში კი დღეგამომშვებით, უშუალო მეთვალყურეობით უნდა მიიღოს პრეპარატები და ამისთვის ტუბკაბინეტში უნდა იაროს მიუხედავად იმისა, რომ თავს უკვე კარგად გრძნობს;

რითი შეიძლება დავეხმაროთ მას? (2)

2. პაციენტს უნდა ავუხსნათ, რომ განკურნებისთვის სწორედ ამ ხანგრძლივობის და ამ პრეპარატებით მკურნალობაა საჭირო. თუ ტუბკაბინეტში პაციენტის სიარული პრობლემაა, უნდა შევეცადოთ ყველა მიზეზის პაციენტთან ერთად, მისი ინტერესების გათვალისწინებით განხილვა და

ნარკომანების ფსიქო-სოციალური დახმარება თემში

3. TB პრეპარატები ტოქსიურია და ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებში შეიძლება სერიოზული გვერდითი მოვლენები, მაგ. ნერვული აშლილობა გამოიწვიოს, რის გამოც პაციენტს, რომელსაც აქამდე მხოლოდ ახველებდა, უმადობა და სისუსტე ჰქონდა, ახლა უძილობა, შფოთი და აღგზნებადობა შეიძლება დაეწყოს და ამის გამო მკურნალობა დროებით ან სულ შეწყვიტოს;
3. პაციენტს უნდა ავუხსნათ, რომ გვერდითი მოვლენები მოსალოდნელი იყო და მათი მართვა ექიმ-ფთიზიატრს შეუძლია. მთავარია მას უთხრათ მათ შესახებ. თვითნებურად მკურნალობის შეწყვეტით ბევრი რამ გაფუჭდება: პაციენტი თავს ისევ ცუდად იგრძნობს, ისევ გადამდები გახდება და შეიძლება განუვითარდეს რეზისტენტული TB, რომლის მკურნალობა უფრო ხანგრძლივად და უფრო ტოქსიური პრეპარატებით გახდება

ნარკომანების ფსიქო-სოციალური დახმარება თემში

4. ხანგრძლივი, ტოქსიური მკურნალობა, მუდმივი შიში იმის რომ მკურნალობის მიუხედავად მომავალში კვლავ და კვლავ შეიძლება ავად გახდეს TB-ით, პაციენტს საბოლოოდ განკურნების და ახლობლებთან კვლავ ნორმალური თანაცხოვრების უიმედობას უქმნის;
4. პაციენტს უნდა ავუხსნათ, რომ შემდგომში მისი TB-ით კვლავ დაავადება დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად სწორად იმკურნალებს ახლა და როგორ განაგრძობს ცხოვრებას მკურნალობის შემდეგ. თუ ის შეეძლებს უარი თქვას TB-ის ხელშემწყობ ფაქტორებზე TB-ით მისი კვლავ დაავადების რისკი მნიშვნელოვნად შემცირდება. ყოველი შემთხვევისათვის, რადგან ის ერთხელ უკვე იყო TB-ით ავად იცის მისთვის დამახასიათებელი ნიშნები და მათი კვლავ გამოვლენისთანავე უნდა მიმართოს ტუბდაწესებულებას - ტუბდაწესებულების მისამართიც

ნარკომანების ფსიქო-სოციალური დახმარება თემში

ტუბერკულოზით დაავადებული ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთან საუბრისას ხშირად შეახსენეთ პაციენტს შემდეგი:

- ✓ მიიღე TB პრეპარატები ისე და იმდენ ხანს, როგორც ეს ექიმმა დაგინიშნა;
- ✓ შენს ორგანიზმში ტუბერკულოზის გამომწვევის განადგურება მხოლოდ ამ პრეპარატებს შეუძლიათ;
- ✓ რაც არ უნდა თავი კარგად იგრძნო, მაინც გააგრძელე TB პრეპარატების მიღება;
- ✓ თუ TB პრეპარატების მიღებისას გაგიჩნდა ჩივილები, აუცილებლად უთხარი მათ შესახებ ექიმს, ის შეძლებს შენს დახმარებას;



USAID | **GEORGIA**
FROM THE AMERICAN PEOPLE

TUBERCULOSIS
PREVENTION
PROJECT

თემა:

ტუბერკულოზით დაავადებული
ნარკომანების ოჯახის წევრების და
ახლო მეგობრების ინფორმირება და
დაცვა

ტუბერკულოზით დაავადებული ნარკომანების ოჯახის წევრების და ახლო მეგობრების ინფორმირება

- ✓ ძნელია გაამხილო რომ ტუბერკულოზით ხარ ავად ;
- ✓ გეშინია რომ გაგრიყავენ, ყველა გაექცევა შენთან კონტაქტს;
- ✓ ნარკოტიკების მოხმარების გამო ისედაც პრობლემები გაქვს ოჯახის წევრებთან და ახლა რომ გაიგებენ ტუბერკულოზით ხარ ავად, საერთოდ აღარ მოისურვებენ შენთან ერთად ცხოვრებას;
- ✓ ძნელია ხვდებოდა, რომ შენს გამო შეიძლება შენი შვილი ან დედა დაავადდეს ტუბერკულოზით და სულ გეშინოდეს ამის;
რა უნდა ქნა, უნდა დაელაპარაკო მათ, აუხსნა და ერთად დაიცვათ თავი, თუ დამალო, არ

ტუბერკულოზით დაავადებული ნარკომანების ოჯახის წევრების და ახლო მეგობრების ინფორმირება და დაცვა

ოჯახის წევრებისთვის და ახლო მეგობრებისთვის სწორად მიწოდებული ინფორმაცია დაგეხმარებათ თქვენც და თქვენს ახლობლებსაც:

- ✓ დროულად მოხდება კონტაქტში მყოფი ყველა პირის გამოკვლევა;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში მათი მკურნალობის დროულად დაწყება;
- ✓ მოხერხდება დაავადების გავრცელების პრევენციისათვის საჭირო წესების დაცვა (დაუბრუნდით 48-ე და 49-ე სლაიდებს);

ტუბერკულოზით შეიძლება დაავადდეს ნებისმიერი ადამიანი, არავინ იცის ვინ იქნება პირველი

შემთხვევა განხილვისა და დისკუსიისთვის (5)

ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელმა გაიგო, რომ TB-ის გადამდები ფორმით არის ავად.

ტუბდაწესებულებაში მას უთხრეს, რომ მასთან ახლო კონტაქტში მყოფი ყველა პირი უნდა იქნას გამოკვლეული, მაგრამ პაციენტს არ უნდა გაამხილოს თავისი ავადობა და არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა ჩაიტარონ გამოკვლევა. ტუბდაწესებულებაში ისიც აუხსნეს, რომ სანამ გადამდებია ოჯახში და ახლობლებთან გარკვეული წესები უნდა დაიცვას, მაგრამ ვინაიდან არ ამხელს რომ ავადაა, ქირურგიულ ნიღაბს ვერ იკეთებს, ოთახს ხშირად ვერ ანიავებს და ვერც იმას უხსნის მეუღლეს, რომ ცალკე ოთახში, ბავშვებისგან მოშორებით უნდა დაწვეს.

ექიმმა-ფთიზიატრმა დახმარებისათვის იმ აუთრიჩ/სოციალურ მუშაკს მიმართა, რომელსაც პაციენტთან ნარკოტიკების მოხმარების გამო ხშირი შეხება აქვს.



როგორ შეძლების სოციალური მუშაკი დახმარების?



თემა:

*ტუბერკულოზთან დაკავშირებული
სტიგმა - კონკრეტული თემის და
ჯგუფის თავისებურებები*

TB სტიგმა

- ✓ TB სტიგმა ყველა ქვეყნის ყველა საზოგადოებრივ ჯგუფს მეტ-ნაკლებად ახასიათებს;
- ✓ TB სტიგმის მთავარი გამომწვევი დაავადების ჰაერ-წვეთოვანი გზით გადაცემაა;
- ✓ TB -ის რცხვენიათ, ეშინიათ და მალავენ, ვინაიდან ეს დაავადება მარტო პაციენტს არ უქმნის პრობლემებს, ის საშიშია გარშემომყოფებისათვის;
- ✓ საშიშია იმ ჰაერით სუნთქვა, რომელშიც ხველის, ცემინების, ლაპარაკის, სიმღერის და სიცილის დროსაც კი დაავადებულმა TB გამომწვევი გამოყო, არადა თანაცხოვრების/თანამშრომლობის დროს ასეთი კონტაქტი გარდაუვალია;
- ✓ ამას ისიც ემატება, რომ TB მინიმუმ 6 ან 18 თვე საჭიროებს ყოველდღიურ, უშუალო მეთვალყურეობით მკურნალობას, რაც ზოგიერთი პაციენტის შემთხვევაში მუშაობის ან სწავლის პროცესში ხელისშემშლელია;

როგორ ვებრძოლოთ TB სტიგმას

TB სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე ეფექტურია პაციენტზე ორიენტირებული მიდგომით, რომელიც გულისხმობს:

- ✓ თითოეული პაციენტის შემთხვევაში სტიგმის გამომწვევი ინდივიდუალური პრობლემის იდენტიფიცირებას;
- ✓ პაციენტთან ერთად ამ პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის შერჩევას;
- ✓ პაციენტთან, მის ოჯახის წევრებთან და თემის წარმომადგენლებთან ერთად პრობლემის თანმიმდევრულად აღმოფხვრას;

TB სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლისას გასათვალისწინებელია კონკრეტული თემის და თემში კონკრეტული ჯგუფის თავისებურებები

როგორ ვებრძოლოთ TB სტიგმას

TB სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლისას გადამწყვეტია

- ✓ პაციენტის;
- ✓ ოჯახის წევრების და ახლობლების;
- ✓ თემის;

სწორად ინფორმირება

ადვილად გასაგები და დასამახსოვრებელი მესიჯები
დაგეხმარებათ სწორად ინფორმირებაში

როგორ ვებრძოლოთ TB სტიგმას

მაგალითისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი მესიჯები:

- ✓ TB -ის პრევენცია და განკურნება შესაძლებელია;
- ✓ TB დაავადებაა, დაავადებები კი იკურნება;
- ✓ TB არ არის სამარცხვინო დაავადება, ამ დაავადებით ნებისმიერი შეიძლება დაავადდეს;
- ✓ ნუ დაასუსტებ ხელოვნურად შენს იმუნიტეტს და ის დაგიცავს TB-ისგან;
- ✓ მიმართე ექიმს TB ნიშნების გამოვლენისთანავე და ის შეძლებს შენს დახმარებას;
- ✓ გადამდებია არანამკურნალები TB, იმკურნალე და არაგადამდები გახდები;

როგორ ვებრძოლოთ TB სტიგმას

- ✓ დაიცავი წესები, რომლებიც ამცირებს TB - ის გავრცელების რისკს და შენ დაიცავ შენს ახლობლებს;
- ✓ ნუ გარიყავ ტუბერკულოზით დაავადებულს, მის ადგილზე შენც შეიძლება აღმოჩნდე;
- ✓ ერთობლივად TB-ის დამარცხება მეტია ვიდრე TB შიში;
- ✓ მიიღე TB პრეპარატები ექიმის დანიშნულების მიხედვით და შენ შეძლებ TB -ის დამარცხებას;
- ✓ თუ TB -ზე გაიმარჯვებ, ბიერი სხვა

თქვენ რას ეტყობით
თქვენს ბენეფიციარს
ან მეგობარს

TB სტიგმის დასამარცხებლად?

შეკითხვები - დისკუსია

